



მარტოობა



„ტარტაროზე“ გაჯანჯანებული ბიუროკრატი გამგე, (რომელიც მოთავსებული იყო პირველ კვერდზე „ტარტაროზი“ № 27-ში,



წმენდა

(სინამდვილიდან)

ჯერ კიდევ დამჯდარი არ იყო, რომ ხალამპრე გამოიძახეს.

— აქ გახლავარ! — და წარს კვა კომისიის წინაშე.

— მე, რასაკვირველია, დავიბადე 1898 წელში, და, რასაკვირველია, ღარიბი ოჯახის შვილი ვიყავი. ამიტომ, რასაკვირველია, თავიდანვე მიყვარდა ოქტომბრის რევოლუცია, და, რასაკვირველია...

— რა მონაწილეობას ღებულობდით რევოლუციაში? — შეეკითხა კომისიის თავმჯდომარე, როცა შეატყუა, რომ ხალამპრე ღობე-ყორეს ედებოდა.

— მაშინ მე ვსწავლობდი რუსეთში. სტუდენტი ვიყავი და ამიტომ, რასაკვირველია, არ მიმიღია მონაწილეობა.

— რატომ? პირიქით, სტუდენტობა ყოველთვის რევოლუციას ემსახურებოდა. თქვენს თვალწინ რამდენიმე რევოლუციამ გაიარა და თქვენ არც ერთში მონაწილეობა არ მიგიღიათ?

— მაშინ პოლიტიკურად მოუმზადებელი ვიყავ. ვერ ვარჩევდი — რომელი პარტია სჯობდა. ამიტომ მაშინ განზე ვიდექი.

— თქვენ ანკეტაში გიწერიათ, თითქოს თქვენს ბინაზე საიდუმლო კრებები ხდებოდა მეფის დროს. მაშასადამე, თუ ეს მართალია, არც ისე მოუმზადებელი ყოფილხართ, რომ ვერ გარკვეულიყავით პოლიტიკურ პარტიებში. მაგალითად, თქვენ არ იცოდით — რა განსხვავება იყო მენშევიკ-ბოლშევიკებს შორის?

— ეს მე მივხვდი ოცდა ერთ წელში, როცა მენშევიკები დამარცხდნენ და ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს.

— კარგი. თუ გინდ მაგრე იყოს. თუ თქვენ ამას ოცდაერთ წელში მიხვდით, რატომ მაშინ არ ჩაეწერეთ პარტიაში და რატომ შარშან ჩაეწერეთ?

— ზომ მოგესვენებათ, ოჯახური მდგომარეობა. ხან მაციებდა, ხან ჩუპი ცოლი ფენმძიმედ იყო; ორჯერ მუცელი წაიხდინა და აუად ვახდა.

— ესლა უჯრედში რა პარტიულ დავალებებს ასრულებთ?

— ჯერჯერობით არაფერს, გარდა იმისა, რომ საწვერო გადასახადს თავის დროზე ვიხდი; სისტემატიურად ვესწრები პარტიულსა და ყოველგვარ კრებებს. არც ერთ მხარეზე, არც მარცხნივ, არც მარჯვნივ არ ვიხრები.

— მოგეცით პარტიული ბილეთი! ხალამპრემ ჩააბარა პარტიული ბილეთი და ისე შეხედა ბილეთს, თითქოს ეუბნებოდა:

— მშვიდობით სამყოდამოდ! აწ შენ აღარ დაბრუნდები ჩემთან!

ტფილისელი.

ათ საათზე როს მობრძანდა გამგე დილით სამსახურში, — დერეფანში საქმმართველის ხმა მოესმა რალაც ყურში.

(თანამშრომლებს უჩვენებდა „ტარტაროზში“ რალაც სურათს. მაგრამ გამგემ რა იცოდა — დასცინოდნენ ასე თუ რას?!).

შემობრძანდა კაბინეტში...

გადაშალა მან გაზეთი...

(მუშაობას ჯერ არ იწყებს, ჩვეულება აქვს ასეთი.

გადაშალა, და აქ ოი, ამხანაგზე ნახატია.

ქვეშ წარწერა: ჩვენი გამგე ჩვენი ღმერთი და ხატია.

თანამშრომლებს ეშინიათ...

ყველას დახცა თავსა ზარი.

კაბინეტში გაიყვანა

დასარეკად ათი ზარი.

ვაი იმას, ვინც ჩვენს გამგეს

შეუბრუნებს ენას, სიტყვას;

საყვედურებს და ვინებს.

თავს დააყრის, როგორც სეტყვას.

თავისს სურათს ყველგან ჰკიდებს.

მიაჩნია თავი ხატათ.

წარმოებას აეკიდა

ზედმეც ბარგად და შავ ხათათ.

სახლში მიდის გამგე აღრე,

და დილით კი — გვიან მიდის.

ასეთ გამგეს მუშგლეხინი

მოგვაშორებს, ნეტავ, როდის?!”

— ხა-ხა-ხა-ხა! — გაიცინა...

მეთრეჯერ წაიკითხა,

და შემოსულ საქმმართველს მოუხმო და ასე ჰკითხა:

— დღეს „მუშა“-ში წაიკითხე, რა სწერია მედქისზე?

აჰა, ნახე!... როგორ დადის ამის შემდეგ იგი ზეზე?!

ბიუროკრატ - ჰიანურა არ მინახავს მე ამ გვარი!

შენნედავდი, — გარეგნულად კაცი იყო იგი ცხვარი.

ერთი ზეწვით მას როს გვავედ, მოვიკლავდი შგონი თავსა.

ფუი რასა ჰგავს?! რა ყოფილა?! არ დავუყრავ აწ მას თავსა!

საქმმართველმა წინ დაუდო გადაშლილი „ტარტაროზი“

და ზრდილობით უთხრა გამგეს: — მოგიხდებათ ეს ჩაროზო **).

გამგე ნახატს დააკვირდა, (დაეხატა იგი „ნადარ“-ს).

შეუწუხდა გული, თითქოს ვილაც აყრის ცეცხლს და დადარს.

იცნო გამგემ თავისთავი; აწეული ჰქონდა ცხვირი;

მუშა - მოსამსახურეებს თავზარს სცემდა ანაყვირი.

ქვეშ წარწერა უფრო ცუდი, ვიდრე იყო მედქისაზე...

მან აღგომა დააპირა, — ვერ წამოდგა იგი ზეზე.

საქმმართველმა თავისთვის სთქვა: — რატომ იცი ფაფხურიო?!

„საციენილი — სხვას სცინოდა“ თქმულებაა ხალხურიო.

*) დესერტი.

ზმუკი.

პირიქით



ჰენდერსონი: — დაბრძანდით ბატონო რწმუნებულო, თქვენს შესახებ დღეს მე წინასწარი სამზადისი უკვე მოვახდინე. აი ამ საანგარიშო ჩოთქზე თამამად შეიძლება ვიანგარიშოთ მეფის დროინდელი ვალები!

დოვგალაშვილი: — დიახ, ბატონო მინისტრო, ეს ჩოთქი იმ ზარალის ასანაზღაურებელ თანხებს საანგარიშოდაც გამოიღვება, თქვენმა აგენტებმა რომ მოგვაყენეს სამოქალაქო ომის დროს.

გარიდან ვილაცამ ცხვირი ვადმოკყო, ვადმოიწია და მსროლელს ვადმოძახა:

— ვინა ვარ მე?
 — არ ვიცი, ბატონო, ვინა ხართ?
 — არ იცი? მე შენ გაცნობებ ვინცა ვარ! და მსროლელი თხოთმეტი დღით იგზავნება საკანში.
 — რისთვის? ვისთვის? რა დამიშავებია?... რატომ მაპატიმრებთ? — კითხულობს განცვიფრებული მსროლელი.
 მას უცხადებენ, რომ ის დააპატიმრა 1-ლი რაიონის დაცვის უფროსმა.
 — თქვენ გაუგზავნეთ ჩემს შესახებ რედაქციას კორესპონდენცია? — ეკითხება ხერხეულიძე მუშკორს.
 — დიახ, მე! — მოქალაქეობრივი გამგებლობით უპასუხებს მუშკორი.
 ნერვებ აშოილი „გმირი“ უყვიბრის თანამემწყვეს: — დაიჭირეთ ამ წუთში!
 კორესპონდენტს აპატიმრებენ. იღება საკნის კარები და სატუსალოში შემოყავთ „დაცვის“ უფროსი ალექსანდრე ხერხეულიძე.
 — ამხანაგო კობახიძე, თქვენი დათავისუფლებული ხართ — თქვამდებენ მუშკორს.
 კობახიძე აგმოდის საკნის კარები იკეტება. გუშაგათ უდგას „ახლად მიღებული“ მსროლელი, რომელმაც თავი შეპყრო კარებში და ეკითხება ყოფილ თავიხი უფროსს:
 — ვინა ვარ მე?
 — რა ვიცი, ვინა ხართ?
 — მე ის მსროლელი ვარ, რომელიც უდანაშაულოთ თუთხმეტი დღით გაგზავნე საპატიმროში.

ბოჰინი.

მოზაიკური სურათი (ახალი სენაკი)

„ჩვენი დროის გმირები“

ა. კავკასიის რკინის გზ. დაცვის 1-ლი რაიონის უფროსი ხერხეულიძე ზის თავის კაბინეტში.
 — ნება მომეცით მოგახსენოთ ამს, უფროსო.
 — რა გინდათ?
 — ვილაცა მოხუცებული ქალაა, თქვენი ნახვა სურს.
 — შემოუშვით. (კარები იღება და ალექსანდრე ხერხეულიძეს წარუდგამოხუცებული ქალი).
 — შეილო, სანდრო, რატომ მოგვიძულე? აღარც დედა გინდა, აღარც ოჯახი, აღარც გვარის კაცები?
 — ვინა ხართ თქვენ? „ შეუბღვირა ხერხეულიძემ.
 — დედა შენი, შეილო!.. მამა შენის, ხარატიშვილის ცოლი. შენი მშობელი დედა!
 — მოქალაქევი გაიგოთ უნდა, რომ

მე ხარატიშვილი არა ვარ. მე გახლავართ ხერხეულიძე. მე თქვენ ვერ გიცნობთ.
 — უი! დამიდგეს თვალები! ამისთვის გატარებდი, შეილო, მუცლით?
 — მოქალაქევი, კიდევ გეუბნები, რომ მე ვარ ხერხეულიძე. ყოფილი თავადი. ხარატიშვილები გლეხებია. 1917 წლიდან ხერხეულიძის გვარი მივიღე და თქვენთან, გლეხებ ხარატიშვილებთან, საერთო არაფერი მაქს. გთხოვთ დაგეტოვოთ.
 — შეილო, ნამდვილი ხერხეულიძეები მაღავენ თავის გვარს და შენ რა ეშმაკათ ჩაბლაუჭებხარ მას?
 ხერხეულიძე გულმოსული რეკავს ზარს და შემოსულ დარაჯს აძღვეს ბრძანებას:
 — გაიყვანეთ.
 ისტერიული ტირილით გულამოსკენილი დედა წყველა - კრულვით გადის კარებში.
 ხაშურში რბილი რდნოდის ფან-

მთები, ქაობი, ველები, ქალები. მოკლე კაბიანი ბავში და ქალები. ხვანჭკარა, კახური, ლიმონათი, სიტრო. გაზეთის კონტრაგენტი ესებუა მიტრო. მიკიტანი სოკრატა, დიდ-ლიბიანი. მარანი სირიას, შამპანიანი. შიგ ღვინო ღვთიური, ბლომად წყლიანი. თითო ბორჯოში ოთხ აბაზიანი. თხილი, ნიგოზი, კიტრი ძმრიანი, თოლორდას დუქანი, შაირიანი; შიგ ძვეს ვაშლები დამპალიანი. შაქარიც: გირვანჭა მანეთიანი. „ვპო“-ს კანტორა, ვალაგინიანი. ვამგედ არს მეტად „თავაზიანი“. ლავრენტი ჯავახია დიდ ღვინიანი. კოოპერატივი, ბოქლომიანი, შინ მარტო ნავთი შაურიანი, გამგეთ კი ვარლაბი „ენა-წყლიანი“. სადგურიც მკვირცხელი, სულ ხალისიანი. ბუფეტო მუდამ ეამს ნაგავიანი, ბარნაბა თხახცე „თავაზიანი“...

მის. გმ-ხპირალი



შენაქო



სახელი „მწერალი“ წარმოსდგება ზმნი-საგან, — „წერა“ და არა „წერა“-საგან, რაც ბნელს ნიშნავს. ამიტომაც წერა არ არის ყველაში „წერა“, ანუ ბედი, ხვედრი. ამრიგად, გამოდის, რომ მწერალი არის ის, ვინც სწერს, არც მეტი, არც ნაკლები. მაგრამ მწერლად მაინც არ იწოდება კაცი, რომელმაც შემთხვევით რაიმე დასწერა. მაგალითად: ოქმი, ორდერი, ანგარიში ან თუნდაც ორიოდღე ლექსი გინდ კრიტიკული წერილი, რომელიც ყოველგვარ პასუხისაგან დაცულია, მათ შორის — პასუხისმგებლობიდანაც კი.

არა, მწერალი სწერს და სწერს, ყოველ-დღემ, ყოველ თვეს, წლიდან წლოვით. არ არის და არა მისი კალმის შესვენება, შეკლება.

იწყება ეს ყოველთვის ასე:
— აი, გთხოვთ განიხილოთ... არ შეიძლება ამითი მოთავსება თქვენს გაზეთში ან უფროსში?!. ეს შე დასწერეთ...

— არა, ვერ წავა: : იციან: : ასეთი ჩვენ არ გამოვადგებომა... ჩვენთვის უმჯობესია უფრო ისეთი... :

— ინებეთ, მე ისეთივე მაქვს...

— არც ეს არის სულ ისეთი...

— აჰა, მე სულ ისეთივე მაქვს... მხოლოდ... მეონი, რომ სახლში დამჩინია... მოგიტანო: : :

— რა გაჩქარებთ?... მოესწრებით... ყოველ შემთხვევაში მოიტანეთ... :

ის გარბის და თქვენ კი რაღაც განსაკუთრებული გომილინი გაჰყურებთ მას... გაჰყურებთ... : გაჰყურებთ: : :

— ააას... აღმოგზნდებათ თქვენდა უნებურად... შემდეგ ის მოიტანს „სულ ისეთს“...

— მე კიდევ მომეპოვება: : :

— არა, ჩვენთვის ამჟამად, ესეც საცხებით საკმაოა... ვნახოთ... შემოიხედეთ ასე, ერთი კვირის შემდეგ: : :

— ნახვამდის!

— ნახვამდის... :

— ახსანაგო! იქ სხანა მოითხოვს რაიმე მასალას, კორპუსით ასაწყობს... :

— აი, დასწყველობს ჩემმა გამჩენმა!... კორპუსით... ასეთი კი თითქმის აღარაფერი აღარ მომეპოვება... მაგრამ: : : დაცადეთ, დაცადეთ... : დადგცხეთ ჩვენ ვრანგელს“... :

„ვეუბრეთ დედა“: : „ჩვენი წითელი არწივები“... : „გადავლესთ ზღვაში“... : „მამ, ვაუშარავს“... : და სხვ... აი, ახსანაგო, რაღაც სულ ისეთი... მეონი, გამოდგება... კორპუსი... დიან, კორპუსით... უთხარით: : აწყობს: : :

და წავიდა.

ხოლო, რაკი ერთხელ წავიდა, შემდეგ გაუშკლავდით უკვე ბოლომდის... :

— ახსანაგო! მე კიდევ გაანელით, დიდებულია! დასტოვებ... :

ყოველ შემთხვევაში, ამ დღიდან უნდა დასხოვით, რომ კიდევ ერთი ახალი მწერალი უკვე გაჩნდა, რომელსაც ეუბნებიან: : :

— არა უშავს, დამწერლებით! ციდან ჭრავს არაფერი ჩამოჰყალიდა... :

შემდგომ ამისა, ერთი ან ორი თვის გასულს თქვენ უკვე ხედავთ, რომ ერთ-ერთ პატარა ტანის, მაგრამ ყველა დიდ ტანზე უფრო მუვირალა შურნალში ის გამეტებით „სცერს ჩოგანს“:

„ახალსა და ძველ თაობას შორის“... ახალს ძველისაგან უბრძოლველად ჯერ არაფერი აუღია“... ერთი სიტყვით, ძველი ყოველივე ძველია“ და „მუჟაჟ“, ხოლო ახალი „მე-ლაფერი“ კარგი, თუნდაც იუვეს მკვახე.

და ასე ის გასწივის ფორმაზე... გამოსწივის შინაარსზე... ეს არ ვარგა: : : ის კარგია... როგორცა ხედავთ, აი, ასე „კეთდებიან“ მწერლები.

ამის შემდეგ, ამ გარეგნულ ზრდასთან ერთად იზრდება მწერალის ესა თუ ის მსოფლმხედველობა, ესა თუ ის იდეოლოგია, ესა თუ ის პლატფორმა.

თუმცა პლატფორმა არა ესა თუ ის, არა მდელ უმთავრესად ერთია, საბჭოთა და არა თუ უმთავრესად, არამედ გადაჭრით და ერთად-ერთი.

მსოფლმხედველობაც უმთავრესად ერთად-ერთი, რევოლუციონური, თუმცა არც კი იცის, თუ რა ხილია ეს რევოლიუცია.

თუ ყოველივე ამას მივუმატებთ კიდევ: ცარიელ კუჭს, უსაზღვრო მადს, ცხელ სიხსლს, თუმცა წითელი ბურთულების საჭირო რაოდენობას წიკლებულსაც იმავე დროს, თქვენთვის ნათელი იქნება მწერლის, ასე ვსთქვათ, შინაგანი არსი.

გარეგნულად კი მას ყოველთვის აცვია შარვალი: ხან ძალიან მრთელი და კარგი, ხან კი ძალიან ბევრი ნაჩერტ-ნაგულჯაზიანი (დამოკიდებულია ტალანტზე); ატარებს გრძელ თმებს, თუმცა, თმასა და ჭკუას შორის დამოკიდებულების გამოშხატვლ ანდაზის შესწავლის შემდეგ, შესაძლოა თმები მოკლედაც შეიკრიჭოს ან სრულიად გადამარხოს, რაც მდგომარეობას, რა თქმა უნდა, არ სცვლის.

სტრიქონების სიგრძის მიხედვით თავიანთ ნაწერებში მწერლები განიყოფება: პროზიკებათ, პოეტიკებათ და ფუტურისტებათ.

პროზიკებში იწოდებიან ის მწერლები, რომელთაც აქვთ სტრიქონები უფრო გრძილია, უფრო განიერი და უფრო იაფიც.

პოეტიკებში—ეს ისინი არიან, რომელთაც იციან წერა მოკლე სტრიქონებით, ხოლო ამ სტრიქონებს ბოლოში უმატებენ რითმას; ასონანს, ან ალიტერაციას,

თუ ასეთი რამე არ აქვს, მაშინ ლექსი თერთია და შავს ჩინაჩინიან ანებს, რომლებიც ციებას კი არ სპობენ, არამედ, პირიქით, იწვევიან.

ფუტურისტები წარმოსდგება არა ქართულ ფუტურისტულსაგან, როგორც ეს მათ საზოგადოებრივად ძალიან უდგება. არამედ ლათინურ „ფუტურისტ“-აგან, რაც ნიშნავს მომავალს, რომელიც ჯერ კიდევ დიდი მანძილით არის დაშორებული ნამდვილ მწერლობას. ისინი ემგავებიან ბავშვებს, რომლებიც იგრიბებიან, იმანჭებიან, თავს ირთობენ, იგინებიან და საერთოდ — სწავლობენ. ისე კი ისინი სიმპატიური ხალხია.

როგორც თითონ დაგრებილები და უკალაპოტო, უფროსი და რაც მრავალია, უშინაარსოა მათი სტრიქონებიც. მაგრამ ეს იმით, რომ ისინი ჯერ ხომ არა სწერენ, ანა-

მედ მხოლოდ იჩნებიან, ეგვივიან წერას.

თავიანთ გაუგებრობის მიხედვით, მწერლები იყოფა: სიმბოლისტებად, იმაჟინისტებად, ნეოკლასიკებად, რეალისტებ და საერთოდ ბევრ „იკებად“ ან „ისტებად“.

სიმბოლისტები—ეს ისეთი პოეტებია, რომლებიც სწერენ „სიმბოლო სარწმუნოების“ ფორმით. შემდეგ ისინი თანდათან გადადიან ნეოკლასიკებად, ნეოკლასიკებიდან —პროლეტარულ მწერლებად და ბოლოს იქცევიან ფუტურისტებად, თუ არ მოასწრეს ამ უკანასკნელებთან კოლექტიური ხელშეკრულების დადება და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმა (ვინ ნაკლებს დასწერს ლექსს!).

ნეოკლასიკები—ეს ისინი არიან, ვინც ნამდვილ კლასიკებს თან ჰბაძვენ და თანაც ვირის ტლინკებს აკრიან, რა თქმა უნდა, შვიი უმაღლრობის გამოსაჩენად.

იმპრესიონიზმი—მაშინისტი იმპრესიონიზმი არ ვის ეგონოს. ეს არის, თუ გნებავთ, იგივე, რაც: „იმან შენი სიტყვა, მე შენსას ვიტყვი, ხოლო შენ—იმისას და ასე დაუსრულდები...“

რეალისტები—როგორც თვითონ სიტყვიდან ჩანს, ეს ისეთებია, რომელთაც დაასრულეს რეალური სასწავლებელი, უმაღლესში ვერ შევიდნენ, კონკურსის გამო, და დარჩენ სამუდამოთ რეალისტებათ.

არის კიდევ ერთი განსაკუთრებული ჯოში მწერლებისა, იუმორისტები. ისინი სწერენ იმისათვის, რათა მკითხველები ატირონ. ყოველად უბედური ხალხია. კბილიც რომ სტიქოდესთ, მაინც რაიმე „სახაცილო“ უნდა დასწერონ.

სხვებს შეუძლიათ სწერონ ტრირაგედია, კკომედია, დღღარა, ნწნოველა თუ ათასი ბედა; ხოლო იუმორისტები კი უნდა სწერონ მხოლოდ „სამხიარული“.


მთავარი მწერალში—ნიჭია, ტალანტი. ტალანტის მიხედვით, მწერლები იყოფა... მაგრამ დავანებოთ ამას თავი, რადგან მწერალი უტალანტოთ წარმოუდგენელია. მხოლოდ მწერი განსაგებია, თუ სად იმყოფება ეს ტალანტი. შესწავლა, კაცია ჩვეულებრივი: ორი ფეხი პათამსავით, ორი ხელი, ორი თვალი და ასე განიხვეთ ორი ყურიც კი... დაჯდება, დაიწყებს წერას და უცბათ—ტალანტი, უსაზღვრო ნიჭი... :

მაგრამ უმთავრესი მწერლისათვის მაინც შინაარსია. ზოგიერთი ფსიხოლოგი შინაარსის სთვლის სამწერლო შემოქმედების უმთავრეს სტიმულად.

ქედს ვიხრი მათი აზრის წინაშე არა, როგორც თეორეტიკოსი, არამედ, როგორც პრაქტიკოსი მწერალურ შემოქმედებაში.

შინაარსი რომ არ ყოფილიყო, ბევრი მწერი რომ აღარც კი იქნებოდა დღეს ქვეყანაზე. ერთი სიტყვით, რაც არის, შინაარსი არის. დანარჩენი კი ყველაფერი, ასე ვსთქვათ, გიტარაზე მოამხილია ანუ ჩონ-გურზე—მალაღი ბანს.

თამისუფალი თარგმანი უკანონო-ლიდან.



ტელეფონმა მმართველის კაბინეტში დაიწვია.

— ვინ არის? — შეეკითხა მმართველი, რომელიც იმ დღეს რაღაც კარგ ხასიათზე ვერ იყო.

— ვლადარაკობთ განყოფილებიდან. ერთი ჩვენი მუშა დაზიანდა და გადმოგცემთ ცნობისათვის. — ლაპარაკობდა ტელეფონის მიღში უფროსი მუშა.

— ძალიან კეთილი, ძალიან კეთილი, მივიღებ ზომებს! — თითქოს სინარულით უპასუხა მმართველმა და ტელეფონის მილი ჩამოკიდა.

— სწორედ კარგ დროს მონდა ეს ამბავი! — სთქვა მან თავისთავისთვის. — მუშები ცუდი თვალით მიცქერდნენ. აქ კიდევ წმინდაც იყო მოახლოვებული. თუ მოვიგე მათი გული, მოვიგებ ეხლა! — სთქვა მან და ტელეფონით ავტოს გამოუძახა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ის ქალაქში დაჰქროდა ავტოთი და მეცობების სახელოსნოებს ათვალერებდა.

— ამომიბრჩეთ, მოქალაქე, ერთი ვარკვი კუბო! — უთხრა მან მეკუბოვეს და კუბოებს დაუწყო თვალერება.

— თქვენთვის გინდათ? — შეეკითხა გულუბრყვილო მოხელე.

— ლაპარაკიც არ იციო! მე, ხომ მხედავ, მმართველი ვარ, არ გეგონოს ისეთი ვინმე ვიყო, რომელიც მუშებს პატივს არა სცემს. ჩემს დაწესებულებაში დაზიანდა ერთი მუშა და ირისთვის მინდა, ამირჩიე ერთი კუბო, რაც შეიძლება კარგი.

— დიდად სასიამოვნოა. — უთხრა მეკუბოემ — მაგრამ როგორი იყოს: მომცრო თუ დიდი?

— იყოს დიდი! მეკუბოემ ერთი დიდი კუბო ამოარჩია და გადმოდგა.

— გამოსწერეთ ანგარიში, გადატანისაც ჩივ ჩაუბრეთ. მართლა რა დიდაა?

— თორმეტი თუმანი, გადატანის ცი ათი მანეთი. სულ ცამეტი თუმანი!

მმართველმა ფული მიუთვალა და ანგარიში ჩაიბარა.

— რომ უფრო ნათელი გახდეს ჩემი კეთილი სურვილები მუშებისად-

მი, მოდი კუბოზე წარწერას გავაკეთებინებ. მუშები რომ შეხედავენ, იტყვიან: კარგი მმართველი გვყოლია! — ი. ჩემი მადლიერი ვახდებიან. გაიფიქრა მმართველმა და რამდენიმე წუთის შემდეგ მხატვარი მოიყვანა წარწერის გამოსახატავად.

— როგორ დაეწერო — შეეკითხა მხატვარი მმართველს. მმართველი დაფიქრდა.

— დასწერე: „ძვირფასო“. — აქ გამგე დაფიქრდა. მუშის სახელი მან არ იცოდა. — „ძვირფას მუშას გულდათუთქულ მმართველისაგან“ —

— ვისია ეს? — შეეკითხა მოსამსახურე კუბოს მიმტანი.

— მანქანათა ტრესტის მუშა დამარცხდა და იმისათვის გამოგზავნა მმართველმა! — უთხრა მიმტანმა. მოსამსახურემ გამგეს აცნობა. გამგემ ფერწილებს დაკითხა და გამოირკვა, რომ მანქანათა ტრესტის მუშა იქ არავინაც არ მომკვდარა.

— დაატოვებინეთ კუბო და სხვა ვინმე უპატრონო მართალი ჩაასვენეთ შიგ! — სთქვა გამგემ ხუმრობის კილოთი.

— საუბრიოჲროდ ამ კვიარში არავინ მომართარა! — უპასუხა მოხუცმა მსახურმა.

— მაშ სად წაიღეთ ის მუშა, რომელიც მანქანათა ტრესტიდან მოიტანეს? — კვირობდა კუბოს მიმტანი.

— ის უკვე წავიდა დაწესებულებაში; მას ხელი ჰქონდა დაზიანებული და შეხვევის შემდეგ ისევ უკანვე დაბრუნდა! — უპასუხა მსახურმა ქალმა.

კმაყოფილი მმართველი მხარულად ისაუბრებოდა ერთ პასუხისმგებელ, (ინტრიდან ჩამოსულ ამხანაგს, როცა შეიკივი შემოვიდა მოახსენა:

— ამხანაგო მმართველო, კუბო მოიტანეს და კითხულობენ სად წაიღონ.

— რაო? მე მათ არ ვუთხარი, რომ კუბო საავადმყოფოში წაიღეთ მიტქი! უთხარი — ესლავე წაიღონ საავადმყოფოში! — გასცა ბრძანება.

— ამბობენ, რომ საავადმყოფოში გაქონდა, მაგრამ იქ არავინ მართალი არაა — და უკანვე გამოგვატანესო!

გამგე წამოხტა.

— როგორ თუ არ არის! მაშ რა იქნის მუშას, რომელიც გუშინ ავტომ გატყლიტაო, რომ დამიძახეს.

— გუშინ ავტოს არავინ გაუტყლიტია, მხოლოდ ერთი მუშა დააზიანა. წაიხიანეს, ხელი შეუხვიეს და გამოუშვეს! — ღინჯად მოახსენა შიკრიკმა.

გამგე გაცეცხლდა. მან აღარ იცოდა რა ექნა. გამოვარდა გარედ და ბრძანება გასცა წაეღოთ გამოძვირველთან კუბო, თითონ კი ავტოთი გასწია.

— მიიღეთ, ამხანაგო, თქვენი კუბო უკანვე! — უთხრა მან მეკუბოვეს.

— რატომ? — გაიკვირვა მეკუბოვემ.

— იმიტომ, რომ საჭირო არაა!

— არაფერიც არ მესმის, — უპასუხა მოხელემ. — კუბო ხომ წაღები არაა, უიან რომ დამიბრუნოთ! მე მგონია მიცვალებულისათვის წაიღეთ და თუ არ ჩაეტი, ამოგირჩევთ უფრო მოზრდილს.

— საჭირო არაა, გესმის? მიცვალებული ცოცხალი! ვინ თხერი ჩავაწვინოთ შიგ!

— რა ჩემი ბრალა! მიცვალებული თუ არ გყავდათ, რათ მიგქონდათ მმართველი იმ ზომამდე გაბრაზდა, რომ უნდოდა მივარდნილიყო და მიეხევა მეკუბოვე, მარამ წმინდა გაახსენდა და თავი შეიკავა.

კუბო უკანვე გამოაბრუნეს და მანქანათა ტრესტის საწყობში დადგეს.

ამის შემდეგ მმართველი სოლო სიკვდილზე ფიქრობს: ვაი თუ ის კუბო მართლა ჩემთვის დამიბრუნს შეძინილიო!

პ. ოგოლი.

ბ ა ლ დ ა დ ი

ტარტაროზ, ჩამო ბაღდაღში, გითხრა ამბავი, საამო:

აქ რომ სკანდალი არ მოხდეს, არ გადის დღე, არც საღამო.

აღმასკომი რომ გასტეხეს, ფული სამასი წაიღეს.

ქურდის კვალს აღარ მისდევენ, ვერც ვერაფერი გაიგეს.

შიგ ვაჭარი გვეყავს ყოფილი და ოცდა ოთხის ბანდითი.

რატომ არ გინდა მას კბილი რომ გაუხსნჯო, ამითი?

აქ მოვიდა სამფინგანის ფინაგენტი აღამია.

ლოთობს, ჩხუბობს, გლეხებსა სცემს,

ძნელი გადასატანია.

რესტორანში ცხენით შედის, გლეხებს ცემით ერეკება.

შენც კი იცი, ტარტაროზო, მას ამისთვის რა ერგება.

ხლისტი.

პასუხად ჩანებს

დენერლოს მადის დიბაზორნი
 მოეხსენება საერთოდ ყველას:
 მას არ ეყოფა ჭიკა მაწონი
 (რკინის გზის ხაზებს ულაპავს მთელ-მთელად).

დიდი ჩინეთის „დიდი“ დიქტატორებს
 მალა ხომ არ აქვთ პატარა ზომის?
 მათი სურვილი და მათი ვნება
 ჩვეულებრივზე მეტად იწონის.

ჩინეთის მშრომელ ხალხის ვარამზე
 დენერლებს უდგას მომადლოთ ტახტი
 და მათი ნდობა ისე დილია,
 რომ საზღვრებიდან საზღვრებზე დაბნის.

მუკდენის ახლად ნამცხვარ დენერლებს
 ხსვაზე ნაკლები ხომ არ აქვთ მალა:
 იკბინებიან, სანამ არ გავა
 მათი შოგინის ხანი და ვალა.

მუკდენს ზურგსა და გულსაც უმაგრებს
 ჩან-კაი-შების „წმინდა“ კრებული;
 ყველას კი სწყალობს ხელი ინგლისის,
 შორი ზღვიდან მოწოდებული.

იქავე არის ამერიკელი
 ოქროს საკმაოდ დიდი მარაგით,
 და დენერალი შრომას თუ გასწევს,
 ცუდათ არ წავა მისი ამაგი.

ჩან-კაი-შების დიქტატორობა
 ცხადია, მშრომელთ არ გვრის სიამეს
 და მათი წასვლის მომლოდინენი
 ითვლიან წუთებს, ითვლიან წამებს.

საერთოდ ჩანებს არ უყვართ ვარჯჯა,
 მათს საქმე ხომ არ არის შრომა:
 უკეთესია მშრომელთა ხარჯზე:
 უქმად ცხოვრება, ქეოფი, ძღომა.

ამიტომ ჩანებს დიდ თანაგრძნობას
 მშრომელი ხალხი აღარ უცხადებს,

და დრო რომ მოვა, დენერალ სროვას
 ხალხი მუშტებით შეუცვლის ქაღებს.

მალა-ახსნილსა დენერალს დახეთ:
 ჩვენს რკინის გზასაც გადაეწი ვა,
 მით უფრო, რომ ამ თავხედ საქციელს
 ინგლისის ლორდი არ ჩათვლის ცოდვათ.

ჩინეთზე დებულ ჩვენი გზებისა,
 მუკდენი არის თურმე მსურველი.
 მალა იღვიძებს, მალა იზრდება,
 რა არის აქა გასაკვირველი?

დენერლებს აქაც ზურგსა უმაგრებს
 თეთრგვარდიელთა თეთრი ლაშქარი,
 მათ ხომ ათი თუ ცამეტ წლის წინათ
 გამოეკეტა საბჭოთა კარი!

დრო მიდის, თეთრებს თმაც გაუთეთრდა,
 ჭკუაც ხომ იცით მცირდება ბოლოს,
 და დენერლებს გამხმარი კუჭი
 საუკეთესო კერძათ თვლის ბოლოც.

ჩვენი რკინის გზის ხელში ჩაგდებათ
 ჩინელ დენერლებს ესენება გზები
 და როგორც ძველად, ისევე ახლაც
 ერთა მათი სურვილ-მიზნები.

საბჭოთა ქვეყნის მათ არ სურთ ყოფ-
 და მეზობლობა ჩვენი კეთილი,
 ვერ შეიგუეს, ვერ დაისწავლეს
 აღბად მონარქის მათ გაკვეთილი.


მსოფლიოს მშრომელთ დიდათ არ მოსწონს
 ჩინელთა ქცევა, საქმე ველური
 საბჭოთა ქვეყნის გადაკრება
 ვეკვობ, რომ დარჩეს რენტაბელური.

სხვანაირია, გარწმუნებ ჩანო,
 საბჭოთა მუშის მაგარი მუშტი:
 რკინის გზას მაინც ვერ მოინელებ
 რაც უნდ მაგარი გქონდეს მაგ მუშტი.

ტიარსიტი.



— ლორები უსვრიან? ასეთი უს უფთაობა გაგონილა სადგურში?
 — ბირიქით: ეს ლორები იცავენ ჩვენს სადგურებში სისუფთავეს.



მეგობრული და მისი ჩრდილი

J. Nader

„სახეობრივი აპარატის წინააღმდეგო ხანრიქები“



აი, ეს სპეცი (უკაცრავად, „სპეცი“ ბრწყინებულად), რომელიც თავს ქუდში გრძობს მიუხედავად იმისა, რომ თავზე ქუდი არ ხურავს. ყველას აქვს უფლება — რაც უნდა ის იფიქროს. ესეც ფიქრობს, რომ მას კარზე მომდგარი წმენდა ვერაფერს დააკლებს. — სპეცი ვარ. ვის რა უნდა

ჩემთან! არა ჰყავთ თავისი ხაღბი, რომ მე შემეცვლონ. ხარჯადრიცხვას მეტს ვიღებ, მაგრამ სჯერათ. ამაში დაწინაურლებას ვერ დამწყებენ, სამუშაოს დამთავრებას არ ვაჩქარებ, მაგრამ ამისი გასამართლებელი საბუთები მაქვს: მასალა ვერ მოამწოდეს თავის დროზე. დალოცოს ღმერთმა ტრესტი, რომ დაკვეთის შესრულება დაგვიგვიანა. (იქაც მყავს ჩემი კაცი; ერთი გადალაპარაკება და, საქმე გაჩაბხულია).

ყოველ შემთხვევაში, ეხლა ვერ მომხსნიან, რადგან შუა სამუშაოზე ვარ. მერე, როცა წმენდა გაივლის, ყველაფერი მიფურჩინდება.

მართალია, საქმე არაფერი მაქვს, მაგრამ გამგე რომ შეარწყებდა, ესეც კმარა იმისათვის, რომ საშახურიდან არ დამითხოვონ. წახდა დროება, თორემ თავადიშვილის ქალი ამ რემიგტონზე უნდა ვიხდენდე ამ ბროლის თითებს? რემიგტონის მაგიერ, როიალს უნდა უკრავდეს ჩემი მანიკურის თითები.



მს ვაუბრონი ცდილობს ღმობიერი და „ადამიანური“ სახის გამომეტყველება მიიღოს, მაგრამ არ გამოუდის. ანდა როგორ უნდა გამოუდის? როცა ცხელბაში ერთხელაც არ გაზღვის წარბს და მუდამ კულუმბურივით ზის. მის კაბინეტის კარებზე მდგომ დარაჯს გულის სიგავი

ნიერე და მანკი გაუჩნდა. საწყალს ციებ-ცხელებიანსავით აკანკალებს ამისი შიშით.

გასაქანი არა აქვს კაცს, თორემ ეს რომ იტალიაში იყო, მუსოლინი მასთან შედარებით მიქარვა იქნებოდა. (თუმცა მარტო ეხლაც არის მუსოლინი) მიუხედავად იმისა, რომ მთელი დაწესებულების ბატონ-პატრონი და ეს მანკი არ კმაყოფილდება ამით. (ბატონა მუსოლინი თავს გრძობს შიგ, როგორც რომის პაპა ვატიკანში თავის დაწესებულებაში).

არ ეშინია გაწმენდას. ისე ჰგონია, გამწმენდ კომისიასაც დააშინებს თავის თანამშრომლებსავით.

მისაც ეს გინახავთ დაწესებულებაში, ასე ვგვონებთ — ეს არის რაც არის. ერთ წუთსაც არ მოიხევენებს. დარბის იქით-აქეთ. ხან ამას ეჩრება, ხან იმას. მას ასე ჰგონია — თითქოს ქვეყნის საქმეს აკეთებს. თუმცა სწორად გაიფიქრებს: — ასე რომ არ ვქნა საქმე არაფერი მაქვს და ზღეს აღვილა გააუქმებნო. საქმეს არ ვაკეთებ; ვა-მაგირს ქე ვღებულობ. საქორია „შენდულების შექმნა“.



ე. ი. თითქოს ბევრი საქმეები მაქვს. ყველაზე მეტს მე ვლაპარაკობ კრებებზე. ხშირად ცრების თავმჯდომარედაც მირჩევენ. „აქტიური მუშაკი“ ვარ. არ გამწმენდენ.



ამას სრული იმედი აქვს, რომ წმენდაში არ მოჰყვება. ყური რომ დაუგდოთ როცა თათხში ბოლოს სცემს, გაივონებთ: — არა, არ მოვხვდები წმენდაში — ელაპარაკება თავისათვის. — ყველასთან თავდაბალი ვარ. ყველას ფეხქვეშ ვივები. ყველას ვაქებ. ისეთი პატიოსანი ვარ, რომ თუ გინდ თავზე „მასმიქნან“, კრინტსაც არ დავსძრავ. ტყუილია გამგეზე რომ ამბობენ: კულიანიაო. მუდამ კულში ვუძვრები და მე არაფერი შემიძინებია! ჩემი ერთადერთი დანაშაულია ის არის, რომ გამგის ცოლი შემხვდა და ვერ ვიცანი. სალაში არ მიმიცია მაგრამ მე მგონია ამას კომისია მაპატიებს.



ამას არ უნდა დიდი დაკვირვება. ყველა ადვილად მიხვდება რომ ეს განსაკუთრებული მღვდელი.

მიუხედავად იმისა, რომ ტაქტიკა და სახარება სხვადასხვა მეცნიერებაა, ამ ყოფ. მოძღვარმა კარგად შეისწავლა ტაქტიკა და... და გაიკრიჭა.

გაიკრიჭა ისე, რომ — თუ ვინცობაა მდგომარეობა შეიცვალა ვკლესის სასარგებლოდ, ერთი კვირის განმავლობაში დღეს ლამაზად გაკრეჭილი თმა-წვერი ისევ შეიბურღდება და დაემსგავსება ქეშმარიტ მოძღვარს.

მოეწყო საბჭოთა დაწესებულებაში. სწორედ ამიტომ არის, რომ ხშირად ეკამათება თავისათვის:

— ღმერთი არის და კიდევ მწყალობს, თორემ მე ვინ ვამაყარებდა სამსახურს საბჭოთა დაწესებულებაში? ქეშმარიტად ღვთის წყალობით არის ეგ! რაკი ღმერთი ჩემი მფარველია, მე არ შეშინია წმენდას, რომლისაგან ღმერთი დამიფარავს, მისი ძლიერების ჭირიმე აწ და მარადის და უკუნითი უკუნიამდე. ამინ.



არაზის ვგონოს, თითქოს ეს კაცი სამსახურში მიიჭარის პორტფელითა და პლაშჩით. მას სამსახურში არასოდეს არ ეჩქარება. როცა მიიჭარის, ეს იმას ნიშნავს, რომ მივლინებაში მიდის.

ამბობენ: განგებ უშვებენ მივლინებაში, თორემ დაწესებულებაში, რომ დაჯდეს მეტ

წიანს მოუტანს წარმოებას თავისი „მუშაობით“, ვიდრე მივლინებაში სიარულით.

თვითონ მას კი უხარია: — ფულიც ბლომად მოდის და თანაც ვერც ერთი თანამშრომელი ვერ მიცნობს კარგად რომ გამწმენდ კომისიას ჩემზე რაიმე უტხრას. ვერ მიცნობენ იმიტომ, რომ სტუმარი ვარ ჩვენს დაწესებულებაში. გამწმენდ კომისიაშიც კი არ გამოვცხადდები, თითქო, მივლინებაში ვარ საქმეების გამო!

მიუხედავად იმისა, რომ ამისი გამხდარი სახე, თითქოს მქერმეტყველურად ღალატებს, რომ ეს კაცი მუყაითი, დაუხარებელი და ერთგული მოუშაკია, მას მინც „მიბრძანებენ“.



აბა ნახეთ მისი შკაფი, შიგ აღმოჩნდება იანვარში შემოტანილი განცხადებები, რომლებიც ვერც კიდევ მსვლელობაში არ მიუცია.

გუშინ ამასთან ერთი სოფელი მოვიდა და უბრალო ცნობის მინაცემად, დილიდან სალაშრომდე აცდევინა. ბოლოს უარით გაისტუმრა და დაიბარა „ერთი კვირის შენდევ მოდიო“.

ალბად იმ სოფელს ერთი კვირის შემდეგ ამის მაგიერ სხვა მისცემს ცნობას, რადგან ეს აქედან „განწმენდილი“ იქნება.

იცნობალო! ეს განსაკუთრებული თავადი, ე. ი. იგივე შავრზმელი.

თავის სოფლიდან გლეხებმა გამოდევნეს. ერთხანს ქალაქშიაც „მორცხობდა“ და მაინც დადამინც ვარდ ვერ გამოდიოდა, მაგრამ თავისებურად ვაჩარხა საქმე. რამდენიმე „დიდი კაცი“ იშოვა და თბილ ადგილზე მოკალათდა საბჭოთა დაწესებულებაში.



ხშირად იტყვის ხოლმე სადღეგრძელოში თავისი პროტეტორის მისამართით:

— მე და ჩემმა ღმერთმა, შოთა რუსთაველს სწორედ ჩემზე უთქვამს:

„მაგრამ ღმერთი არ ვასწირავს ცაცს ბედისგან ვანაწირავს.“

— სწორედ მსხელ ანგელოზს, რომ ამდენხანს სიმშლით მოგვედებოდ ამიტომ მიყვარს კომუნისტები, რომ გაჭირებულ ხალხისათვის დახმარების გაწევა იციან! — აქვთ თავისი მფარველს, რომელიც ამ დღეებში გამოვარდება პარტიიდან.



წმენდის მოლოდინის შიშისაგან ეს ყოფილი პოლიციელი და დღევანდელი სამნეო ნაწილის გამგე სახეზე გამხდარა. რაღაც ვშეაკი იღუმალად ჩასურსულებს და ამინებს:

— გათავდა შენი საქმე! გამოვივიდა წირვა. ყველაფერი გაგებულა აქვთ და

წამოგიკაკლავენ წმენდაზე. სამსახურიდან დათხოვნას ვინ ვაკმარებს. ციხეში ვაკრევენებენ თავს!

მაგრამ თავისთავს იმედს აძლევს, (სხვა არაფერ ჰყავს იმედის მიმცემი):

— რა იციან მე იმ ქალაქში რა ჩამიდენია! ტუსალი მუშა, რომ მოვკალი, ღამე იყო, არაფერს დარჩენავს. თანაც მიზეზი თითქოს ის იყო, რომ გაქცევა დააბირა. ქრთამის აღებას ვერ დამიბტვიცებენ, რადგან მე უშუალოდ არ ვღებულობდი. (თანაშემწე მინაწილდება). გაფიცვა, რომ ჩავაქო, ამის შესახებ ვის რა ცვლიდება? საწყობებს რომ ვხრავ, ეს არ იციან. წიგნებში ყველაფერი თავის რიგზე მაქვს.

ღიანს, ეს ყოფ. ვაჭარი დღეს ცოლოპრატივში მსახურობს. ეს არ არის კოლოპრატივის წინააღმდეგი, რადგან მისგან კარგი სარგებლობა აქვს. უყვარს კამათი და პოლიტიკური „ლექციების“ კითხვა. ამბობს და „ამტკიცებს“.



— ლენინი არ იყო ჩვენი (ვაჭრების) მოწინააღმდეგე. პირობით, სოციალიზმის გასამარჯვებლად მას საჭიროდ მიანდა ვაჭრებთან დაახლოება და მჭიდრო კავშირი. მაგ. ლენინი ამბობდა: „თვითუფლმა კომუნისტმა ვაჭრობა უნდა ისწავლოს“. მაშასადამე, ლენინი არ ყოფილა ვაჭრების მტერი. ვაჭრობა რომ ცუდი ყოფილიყო, განა ლენინი დაევალებდა კომუნისტებს ესწავლათ ვაჭრობა?

ასე ლაპარაკობს ხალხში. ისე კი კოლოპრატივს ძირს უთხრის და ნატრობს — ისეთი დრო დადგეს, რომ ამ კოლოპრატივის წმენდაში მან გამოსჭიმოს თავისი მალაზია.

ვიუხედავად იმისა, რომ ამისი გამხდარი სახე, თითქოს მქერმეტყველურად ღალატებს, რომ ეს კაცი მუყაითი, დაუხარებელი და ერთგული მოუშაკია, მას მინც „მიბრძანებენ“.



ყველას ვვარწყები და ვინდა უნდა სთქვას ჩემზე საწინააღმდეგო? არაფერს აკეთებს ვერაფერი. ჩემი რადგან თვითონაც არაფერს აკეთებენ. ადგილკომის მდინის მეშინოდა, მაგრამ ამ ბოლო დროს მასთანაც ვიკადრე არშიყო და ეხლა კარგად მიცქერის. გუშინ კავშირის ფულით ნაყინზეც კი დამპატივა. საწყალი! რომ დამინახავს, ყველის ვაჭაროვით იცინის. „ია ჟე ველ გორლოსტ ნაშეო უჩრეყენია“. თანაც ისეთი პროტეტორი მყავს, რომ მეგონი გამწმენდ კომისიასაც კი შეეშინოს მისი.



აი ეს ვაუბრონი „დამსახურებული“ (ასე უწოდებს თავის თავს) და სტაქციანი მფლანგველი ვერ არის კარგ ხასიათზე. ვერ არის იმიტომ, რომ მოახლოვდა „განკითხვის დღე“, ანუ წმენდა.

მართალია, მას იმედი აქვს: — აქ თუ დამითხოვენ, იქ მოვეწყობიო, — როგორც ეს დღემდე ვასდიოდა, მაგრამ იმედი, იმედი და სინამდვილე კი სხვა.

არ გათეთრდება ყორანი რაც უნდა ხეხო ქვეშითა. გამფლანგველს ვერ ვავასწორებთ გამასხლში ჯდომის შიშითა

ამიტომ საჭიროა იზოლიაცია უყოთ სალაროს მფლანგველებისაგან, ვინაიდან მათ მფლანგველებს ასე ასწორებს „სასტიკი იზოლიაცია“.

მს დიდი კაცია, ჭკვიანი და ნიჭიერი, ჩვენში მას არ ამლევენ გასაქანს, თორემ... მას რომ იცნობდენ ჩემბერლენები და ჩან-კაი-შეი, ვი წერდენ, წაიყვანდენ. ისეთი ჭორებისა და ინტრიგების შექმნა შეუძლია, რომ მასთან არადილია ხიკისი.




ამბობენ: — ერთხელ სხვებთან რომ არა ჰქონდა საინტრიგო რამ, — ვერ მოიხევენა და ავად ვახდაო. შემდეგ თორემ ლოგინში თავისთავს მოუგონა ინტრიგა, და მეორე დღესვე მოჩაო.

იმასაც ამბობენ, რომ ვერ-ვერობით მისი ინტრიგობით წარმოებას 10.000 მანეთი ზარალი აქვს და ცდილობს ეს ციფრი ორჯერ მანც ვაადიდოსო.

ნურას უკაცრავად, მაგრამ არ დაცალდება.

საიმედო ადგილას



ცაგერის აგრო-პუნქტის მიერ სარწყავად გაყვანილი წყალი მოედო ნათესებს და ქაობად იქცა. პუნქტის გამგე კი ამ ამბავს ყურადღებასაც არ აქცევს.

რაზი.

პუნქტის გამგე:—წელს მოხავალს ვარგი პირი უჩანს.

წერილი სატრფოხსადმი

გამარჯვება შენი, ნიფადლო!

რაღა ხარ, გენაცვალე ყრონტში? ვაი, სულო... ერთ შენთან ლაპარაკით გამაძლო და მეტე ანასუნი ჩემ საქმეს! მაინც და ასტე გაჩუმება რაღა შეიძლება, ბოზო! ნეუყელი ერთი წერილი ვერ მომწერე აქამდე! მე შენ გითხრა წერა არ იცი და ვერ ჩააკვარკვალიტებ ასობებ! ვაი, შენს პიჩერკს დაენაცვლოს ჩემი თავი! რეიზა მკლავ, გენაცვალე, რეიზა გამათავე კაცი! მაინც და ამისთანა დაწვა შეიძლება შე ქალო?! რომ დამდე ტაფაზე და მხრაკავ უქონოთ, რეიზა არ გებრალევა შენი სავესტია! ბოლოს ხომ მაინც ჩემი შეიქნები, არ უნდა ამას გოგიეს ლაპორტი. თუ კი დამადნობ ახლავე და დამხრაკავ, მერე რაღა ეშმაკად გინდებვარ, გამხმარი და სიქა გამოლენული! თუ მანდა მაინც გინდა ჩემი სიკვდილი, რაღა უქონოთ-მხრაკავ, შექალო, პატარა ქონი მაინც დაადევი და სობლად მოქალი ქე მაინც აღარ დავეძებ!

ვაი, შენი სახის კარტიჩკას დაენაცვლოს ჩემი სოცისტლე! ახლა ქე მაინც რაღა უდგია წინ ჩვენი გვირგვინის ფსკენას, რომ საიმედო სიტყვას არ მელაპარაკებო!

იძახოდი: „კომუნისტი არა ხარო და უბრალო, პრასტოი მოქალაქეს არ ვაყვობიო“... შე ქალო, ახლა მაინც რაღა დოუდგება წინ ჩემს პარტიულობას! მე შენ გითხრა და ვაკანციები არაა ახლა პარტიაში! დედა, რა დღე დაყენა კომუნისტებს ამ ჩისტკის კომისიამ! რაღა პანტუსავით დაბერტყა აგი ხალხი! დედა რამხელა ზავედუშები დაცვივდა ლამის კეკალღვით! დედა, რამდენი მაუზერები დაობრდა ტყვილა! რამდენი შეგროს პორტფელი გახუნდა! ახლა მაქვს ღროი, ჩემო ნიფადლო, ახლა უნდა დავტრიადდე ქრისტეს ჯორივით! მე გეტყვი შენ და არაა ოხრათ ვაკანციები! პერვოი სორტის ხორველა რომ დაძროდათ კომუნისტებს, მაშინაც არ იქნებოდა ამდენა ვაკანციები რაც ახლაა!

ვაი, გენაცვალე იმ ჩისტკის კომისიის ჩლენებს რე მარჯვენაში. დედა, რამდენი გულჯავრი ამომყარეს! იცოცხლე ახლა ჩვენი ისაკა პიმპილაძე დეიარკუნა ვაპრლადებულში! ახია მაზე ყოროსფელი! სმოლოჩ მია საქმეს!


საწყალი ჩემი რძლის დია შევილის ბიკოლიმ მეტრჩიეს-ტხე ხუთი თვე რომ მაროხი და წულას შოო გამოვუტინა, რაღა, მიდღემში შარკოდა თუ! ვაი, მას პატრონს უბედურს, წვეიდეს ახლა და ჩეჩოს მატყლი!

იცოცხლე, ჩემო ნიფადლო! იმ ისაკიას ჯინაზე, მე უშველებელი ზაიავლენია მივარტყი უჯრედში, რომ პარტიაში მიმიღონ. „არდგილი არააო“, ამას ვერ მეტყვიან, მიტომ რომე ახლა ბოვშაქ ქე იცის, რომ ათასობით გადაცვივდენ გაჩისტული კომუნისტები ნავის გოდორში, რაღაი ვაკანცია კია, ისტე რისა მეშინია! მე შენ გითხრა ბიჭოთ-ბიჭს დამიწუნებენ და არ მიმიღებენ! გულბოყვეში მოყვანილი ძალიანი ვარ! ცეკვა კაი ვიცი და სიმღერა! ტოლუმბაშობაზე წავა საქმე და ორას კაცს ისტე-უტოლიბაშებ და მივაძინებ შტოლზე, რომ უკან არ მევიხედავ! თუ გოუწყრა ღმერთი და ჩხუბი ქნა ვინმე კამპანიაში, იცოცხლოს სევასტია მე იმას მივაბტვრიო ღრანჭები, ერთი თუთხმეტი კაცი რომ არ გოუგზავნო სკორო პომოჩს, მაშინ მოკვდეს სევასტია.

ჰოდა, ასტეა საქმე, ჩემო ნიფადლო, გინდოდა მანდა მაინც კამუნისტი ვყოფილიყავი და ა, ბატონო, გეინარე ახლა. ზაიავლენია მიცემული მაქვს, დასაბრაკი არაფერი მაქვს და ზნაჩიტ პოლნიპრავენი პარტიულათ უნდა მიგულო, ჩემო ნიფადლო.

აჰა, ჩემო სულის ხობობო, შენ დაგენაცვლოს ჩემი სიცოცხლე აგი ჩემი ამბავი დაწვრილებით, სულ ტოი ტოი დოუკაკლე ჩემს სასიდედროს და გოუხმარდება ჩემი კაი. შენც ქე მიიფუროხე, ქირიმი, ეშმაკს და ვადაწყვიტე ჩემი გამოყოლა. ვიღე, ჩააპიჩერკე გემოზე ერთი გრძელი წერილი, დღლიზე ორშაურაიანი მარკა და ჩოუშვი ფოსტის ყუთში, მეც მანამდე შევიკერავ გემოზე გამოკვა რახჭინებულ წულამესტს, თინთიკის ჩონა-ახალუსს, დევიკიდებ აქეთ-იქით მაუზერკის ლიფერს, მოვბოკავ ამ დაცვივნილ შეგროს პორთფელებს, დევიკიდებ წინ და უკან, ზევით-ქვევით და გესტუმრები სოფელში, ჩემო იადლო, და ვიფსკენათ გვირგვინი.

გოგია.



— რას ეძებ, კაცო, მაგ ნაგვის ყუთში?
— სულცხონებულ ჩემს პროტექტორს.

ახალი სიმღერა


ცერგიბელმა გამოსცადა მკლავი,
და ტყვიებით „ჩამოაგდო“ ზავი.
ბნელეთისკენ გააქანა ნავი,
მას გაუხმეს თავისი ლაყე თავი.
გაზეთებმა მაცნო ეს ამბავი.
მან ფაშისტებს მოუყარა თავი.
შუშის ზურგზე უნდა სჭამოს ფლავი
შენ გაგისმეს, ცერგიბელო, თავი.
ვის უნახავს მგელმა შობა კრავი.
არც მე ვიცი—როდის ძღება სვავი.
ლორმა ნახა ნეხეში სალაფავი,
ვის, ატყუებს მათი ლაყე თავი?
მგლებმა ნახეს ძვალი მოსახრავი.
და არმია მოაგროვეს შავი.
ჯერ ბევრი აქვთ წყალი სანაყავი.
ასე შერება ბუზი მომაკვდავი.
ღლე გელეყა; სულმობრძავი კნავი.
დაგავიწყდა წინათ რაც იყავი,
დაღრეჯილი მუშას რათ უბლავი?
შენ გაგისმეს, ცარიელი, თავი.
გვატყუებდით ვითომ გინდათ ზავი.
ლიტვინოვმა გვითხრა ეს ამბავი.
აღარ, დაგრჩათ მეტი სალაყავი.
ჩვენ კი ვიცით როდის ძღება სვავი.
არას გზით არ გათეთრდება ყვავი.
მგლებმა ცხვრების გადაიკვა ტყავი.
ცერგიბელო, რა ყოჩაღათ ბლავი.
დიდ, გულდაში შენი სხვილი თავი—
თქვენი მცნება არი მომაკვდავი,
და იმისათვის ჩვენ გავწირეთ თავი.
ჩვენ გვწყურია მშვიდობა და ზავი
ცერგიბელო, შენ გაგისმეს თავი.

მუშა ვახო როინიშვილი

სიცხემ დაშოალა და დამოსლო,
გარინდებული ვწევარ საწოლზე—
აღარ ეღირსა „იმასაც“ მოსვლა...
ფიქრები ჩემი გაფრინდა ცოლზე.
აგარაკზეა წასული იგი,
ფიქრობ, ნაფარდობს ხუჭუჭა ტყეში,
გულს უთამაშებს ტრფობის ტარივი,
ნაკვ იბუტებს მსუქანი ლეში.
ვინ იცის ჩემზე სულაც არ ფიქრობს,
არც ახსოვს თვისი მშვიერი ქმარი,—
სიცხე მაშფოთებს სიცხე სულს მიქრობს
და სიგამხდრისაგან მძვრება ქამარი...
გაბრაზებული წამოვხტი ზეზე,
ჩავიცივი ფეხზე, ჩავიცივი ტანზე,—
და გამოვევარდი შემსუთავ მზეზე,
გასერიწება მომინდა განზე...
კვირა დღე არი. ესთქვი—წავალ ბაღში,
„ბარტოს“ მაგიერ რომ გახსნეს ესლა.
და როგორც იყო მიველი ახში, —
მილიციელთან მომიხდა შეხლა.
— არ შეიძლება! — „რატომ?“ ვკითხულობ
(შესვლა მინდოდა იმ დღით ძალიან),
— გეუბნებიან, როლას დიდგულობ,
ღლეს თქვენთვის ბაღსა არა სცალიან!..
ავტო-ავტოზედ მოაწყდა უცებ,
— გზა!.. აბა ჩქარა ჩამოიკალე!..
მეც ტუჩი-ტუჩზე ძლივს მივატყუე,
თავ-ჩაღუნული მოვიცილდი მალე...
და მივაშურე ისევ ჩემს კინოს
მინდოდა ნახვა „თეთრი მხედარის“..
(გულმა ცოტათი რომ მოიღიხინოს!)
ვთქვი გუნებაში: — ნუ თუ ვგ არის?!
ისევ სიხლის ღვრა, ისევ წაშება,
ისევ გრიალი თოფ-ზარბაზნების!..
ნეტავი როდის დაიამება
და მოსცილდება ეკრანს ცრემლები?!
...კვლავ სევდიანი დაებრუნდი სახლში,
უკეთ რომ გითხრათ — ბნელა სარდაფში,
ისე სიმწარის ვაი-ვაგლახში
ძილმა მომკლა ფიქრები თავში.

მ. დიანელი.

სუფსა



ფილიპის (სასადილოს გამგე):—სად მოვაქვს ამა-
ღენა კერძი? „პოვარს“ შეცდენია და მეტი მოუტია. ვერ
ზედავ შივ ხამი ნაჭერი ხორცია! (ჩანგლით იღებს ერთ
ნაჭერ ხორცს).

ჯ რ ჯ რ ხ ე თ ი ს კ უ თ ხ ე

**ამ მძაჱრის ვინ არ იცნობს,
ამ საცხოვრავი პურის რამ აცხრობს,
ზიგ თოკს, თაგვს თუ ხოჯოს აწჱობს..**

გვეშინია: უანაკნელი სტრიქონი ამ სათაურისა ისე არ წაიკითხონ, რომ გამოდიოდეს, ვითომც მეპურე პურ-ში ხაჱოს აწჱობდეს.

ეს რომ მართლაც ასე იყვეს, რაღა უჱირდა მაშინ სამტრედიის ებოს. მაშინ ხომ ყველა მისი პურის საცხო-ბის მაღლიერი იქნებოდა. ახლა კი, ეს ასე არ არის. თუ ჩვენს კორესპონდენტს, „მამჱერალს“ დავუჱერებთ.

ეპოს პურის საცხოვბი

პურს ამჱადებს ზორბაღა.

არ აკლია მას თაგვი,

თოკიც, ხოჯოც ბლომაღა...

აჱ, რა თჱმა უნდა ლაპარაკი არის მკვდარ თაგვზე და არა ცოცხალზე, ანუ უკეთ რომ ვსთჱვათ, ცოცხლებ-ზე, რადგან ეპოს საცხოვბს, ალბათ, ცოცხალი თაგვები ერ-თობ ბლომად მოეპოვება. ასეთ დსკენას ვაკეთებთ ჩვენ აჱიდან ამ საცხოვბის შესახებ და ვაკეთებთ სრულიად სა-მართლიანად, ვინაიდან, ეს რომ ასე არ იყვეს, მაშინ არც მკვდარ თაგვების არსებობა გამომცხვარ პურში იქნებო-და ამდენად პოპულიარული.

იმედია, ამ ჩვენს გათცებას გაიზიარებენ სამტრედიე-ლი ამხანაგებიც!

**გამგეოვას რად უკლოს
ამ კოწიამ საღჱრგლოს—**

იმავე სამტრედიისა და იმავე კორესპონდენტის პი-ტნით შეეხება ეს ამბავი.

რუსული ანდაზა არის: „ბეზ ხაზიანა ტოვარ პლა-ჩეტ“-ო. ქართულად ეს ანდაზა ასე იქნება: „უპატრონო-ბის გამო საქონელი სტირისო“. აჱ იჯულისხმება გასას-ყიდი საქონელი და არა შინაური, თუმცა, რამდენადაც ჩვენ ვიცით, არც შინაურ საქონელს და არც გასასყიდ ნივთს ცრემლი არ გააჩნია, რომ იტიროს. ბოდიშს ვინ-ღი მკითხველის წინაშე. შეიძლება ზოგ იმათგანს ცრემ-ლი მართლაც გააჩნდეს, მაგრამ მე თუ ასეთს უარყვოვ, ეს მხოლოდ იმდენად, რამდენად საქმე შეეხება ტირილის რთულს პროცესს. თორემ ცრემლი, მოგეცათ ლხენა, მა-რთლაც ბევრ საქონელს გააჩნდეს!

აი, ასეთ „უცრემლო საქონლად“ უნდა ჩაითვალოს სამტრედიის საღჱრგლო, სადაც თუ კორესპონდენტის საგულისხმო სიტყვებს მივხედავთ, საქმე უცრემლოდ მა-ინც არ ეწყობა.

აი, რას ამბობს ამის შესახებ იგივე კორესპონდენტი „მამჱერალი“:

**საღჱრგლოსკენ შევიაროთ
სულ ერთ წუთით, ცოტა ხნით
დავინახავთ არევას,
ყვრილ-წივილ-კივილით
ერთი დედას აგინებს,
მეორე სცემს მოწაფეს,
მესამე ლანძღვა-კიცხვით**

ეხერის მასალის ნაჱრებს..

მასალას გააჩნია, ზოგის ნაჱერი ცრემლს კი არა, სისხლსაც სულ ადვილად განთხევენებს ცხვირიდან. ამ შემთხვევაში, რა თჱმა უნდა, მსროლელისაგანაც, ბევრი რამ არის დამოკიდებული. მაინც საერთოდ საღჱრგლოსა-თვის აუცილებელ მასალის ნაჱრები ცრემლის ღვრისა და ტნის გამოწვევის საუკეთესო გარანტიაა.

აი, ამ ცნობათა სისწორეში კი ჩვენ ადვილად და-ვეთანხმებით კორესპონდენტს, თუ ცოტას ჱვევითაც მო-ვეუსმენთ:

**მისი გამგე, კოწია,
გულ გრილად ეკიდება,
რადგან ცუდი დღე ადგას,
წმენდამ გაასამართლა.**

ესე იგი, სავებით სამართლიანად გადაუყენებით როგორც პარტიიდან, ისე თანამდებობიდანაც.

პარტიიდან კიდევ ჰო, მაგრამ საღჱრგლოს გამგეო-ბიდან კი კიდევ გადაუყენებით და ვერც გადაუყენებით. აი, საბუთიც:

**გამოსცვალეს კი, მაგრამ
სხვა რომ არ სჩანს აღარად,
გამგედ ისევ კოწია
რჩება საღჱრგლოს მარად!..**

ასე მარად გადაყენებული და მარად ისევ არსებუ-ლი, თავის თავად ცხადია, რა სიერთაუღიოთაც იქნება აღ-სავსე, ამ ღვთისანაბარა საღჱრგლოსადმი!

**გიგიტიშვილი გჱჱავს რადგან გავგათ ნადის,
მიტომა ნადის საქმეც მიღის წახდენამდის..**

ჱუთაისში არსებობდა სარეწოა კოოპერაცია, სამი ნადისაგან შემდგარი. როგორც ჩვენი კორესპონდენტი „ჯერესა“ გვაცნობს საქმის ვითარებას, ეს ნადები ცალ-ატლკე გვარიანად მუშაობდენ და საქმეც კარგათ მიჱყავ-დათ.

მაგრამ აი, სარეწოვობის ცხოვრებაში მოხდა „გარ-დატეხა“. მართალია, ძალა ერთობაშია“-ო, იტყოდენ ხო-ლმე, მაგრამ ძალასაც ხომ შესაფერი წინამძლოლი და გამგე ხელი სჱირია.

**დროზე უნდა მოხმარება,
მხმარებელიც — გონიერი“-ო,**

ტყვილა კი არ უთჱვამს მგოსანს. მაშასადამე, საქმე სწორედ ამ „მხმარებელში ყოფილა, ესე იგი, ამ შემთხ-ვევაში — გაერთიანებული სარეწოვობის გამგე-ხელ-მძღვანელში.

ჱუთაისის გაერთიანებულ „ნადებ“ გამგეთ დაუნიშ-ნეს გიგიტიშვილი. გიგიტიშვილიც გაერთიანებულ სარეწ-ოვობს ხელს ისე ადებს, რომ ყველგან წვეწს ადენს. კო-რესპონდენტ „ჯერესას“ ცნობით, ოთხმოცი მუშა-მონა-წილე მან ორმოცზე დაიყვანა, რამაც სარეწოვობის ძალა და შეძლება ძალიან დასცა. გამოდის, რომ „ძალა კია ერთობაში“, მაგრამ „ერთობას“ გააჩნია. „ერთობა“ კი მე-ნშევიკური გაზეთიც იყო ერთ დროს: იგი მუშებზე ზრუნ-ვით, მართალია, კი ერთობოდა თითონ, მაგრამ ეს ძვირად უჯდებოდათ თითონ მუშებს. ამიტომ ასეთი „ერთობა“, ცხოვრებამ უარჱყო.

რა მოუვიდა გიგიტიშვილის „ერთობას“? თითჱმის იგივე.

მაგრამ ამაზე თავის სიტყვას იტყვის, ეგრედ წოდ-ებული — სალიკვიდაციო კომისია.


აი, სანამდის შეუძლია თურმე მიყვანა ზოგი „ერთო-ბის“ ზოგ გიგიტიშვილისთანა ხელმძღვანელებს.

როგორც ხედავთ, მან „ერთობა“ იმ ხელთოფად აჱ-ცია, რომელიც მუშათა ერთობის წინააღმდეგ არის მიმა-რთული.

ახალდაგვის ფოსტაში

ბითაძე გვყავს ფოსტაში
 გამგეთ, „დიქტატორათა“
 მის ოინებს, ტარტაროზ,
 მოვასხენებ სწორათა:
 ამას წინედ გაჰყიდა
 ძველის-ძველი მარკაო,
 ფული ჩიხჩრიალა,—
 ჩანგლის წვერი დაჰკაო.
 აქვე ფოსტალიონი,
 პროტექციით დანიშნეს,
 ფოსტაში ვერ იხილავთ:
 დასდევს სოფლად ბარიშნებს.
 წერილები, გაზეთი
 მას ფეხებზე ჰკილია,
 დაყილობს ქალებში,
 დღე არის თუ ბინდია.
 ვანო არის, სახელად
 გვარად-ნათელაშვილი,
 სკოლიდანა დაფერთხილს
 სწყალობს მამიდაშვილი.

ტარკორი.



ცოდვილი და განწირული

ნოშრეჰანის რივილი

ზოში (ქუთ. მაზრა)

რას ვიფიქრებდი ბეჩავი, —
 ვინმეს შეეძლო მხილება,
 და მივიღებდი „ვიგოვორს“,
 საყვედურს ან გაფრთხილებას.
 გლენს ხშირად მოსულს საქმისთ-
 ვის
 თუ უხდებოდა ლოდინი, —
 განა იმისთვის გამწერეს,
 დამაწყებებს ნოდინი?
 თუ, რომ ამ წმენდას გადავრჩი,—
 მაგრამ, ეჰ! რა რიგ ძნელია, —

ჩემს მამხილებელ გლენკორებს,
 დღე დაგუყენო ბნელია,
 თუმც მძა ბიჭები ბევრი მყავს;
 ვალოდი, ალე, ილია,
 მათ ბევრჯერ ახსოვს ჩემგანა,
 ქეიფი ჰურმარია, —
 მაგრამ მაინც მაქვს მე ბედკრულს,
 იმედი გატეხილია,
 რადგანაც ცუდად მრავალჯერ
 ვიყავი გაწერილია.

შურდული.

ბუაქე ფრთხილათ!

(მიათურა)

მთავარ სახელოსნოში ბუაქე რომ მსახურობს, —
 (ტარტაროზი ამგვარ ხალხს მალე მოინახულებს),
 თვისი სახლიკაცები მან აქ მოაკალათა, —
 მაგრამ სადღაც მუშკორი გაჩნდა ხნობასლათა...

და აქ კედლის გაზეთში გამოსჭიმეს დომენტი,
 აღარ ესამოვნა მათ ამგვარი მომენტი,
 დამწერისა გინებით შეარყია მთა-ბარი.
 იორიალა: ახ!-ნეტავ წელზედ მერტყვის ნაგანი!

ჩემის ხელით დავხვერტდი მე იმ არამზადსა.
 (ამგვარი მოქმედება ავენებს „ჭამის“ მადასა).
 ფრთხილათ! ფრთხილად! დომენტი თორემ მწვავე კრი-
 ტიკა
 მოგხვდება, ვერ დაგიხსნის „გაძრომის პოლიტიკა“.

მუშკორს, რომ შეურაცყოფ, შენ როგორა გონია?!
 ჩვენი პრესა, მუშკორი, ტყვილი მონაგონია?!
 ჰო—და, ასე ფრთხილათა გირჩევ, ჩემო დომენტი,
 თორემ უფრო უარესი თავს დაგატყვება მომენტი.

შაკო.

დავითას ამგავი

(სურათი ბუღალტრის ცხოვრები-დან)

„რაც მოვივა დავითაო
 ყველა შენი თავითაო“.


იყო მოლარე დავით,
 დავით სალაროს ვლიდა.
 ფულს სალაროდან იგი
 ნელნელ ჯიბეში თვლიდა.
 „ზღვა კობზით დაშრებო
 ნათქვამია ძველათ.
 დავითამაც იმ სალაროს
 ფული გაართვა ნელა.
 მაგრამ გამოჩნდა აგერ
 ეს მუშგლებინი „ავი“,
 „ადგილზე“ მიაბრძანეს
 მღლარე სიყმე შავი.

„ასი ურტყი დავითასა
 მაინც იზამს თავისასა“.

გაგიდა ის დრო, ხანი,
 სამმართველოდან იგი
 ბუღალტრად მოეწყობა.
 ბუღალტერს ვინ არ იცნობს,
 მტკიცია ერთ-ბ ფულის.
 ჩოთქზე უმეტეს უყვარს
 ფულებზე გაკვრა კბილის
 და ვინ არ იცის: „კვიცი
 გვარზე რომ გადახტება“.
 დავითმაც „თავისი ქნა“...
 ფულები გაუტკებება.

მაშ, რას იზამდა, აბა.
 დავითმაც ოხრად ყლაპა.
 საქმე რომ გაფუტდება,
 ეს მუშგლებინიც ჩნდება
 და ბუღალტერი დავით
 ისევ „იქ“ დაბრუნდება.

ბახჩა.



— დედაშვილობას, პროკორიდან ქე მაქვს „პრუპუსკი“ და გამიშვი
 — დედი, ეს ცხე კი არა, ქუთაისის აკადემიური თეატრია.

ლეღვან მარელი ი

ვისაც რა უნდა უყვარდეს, სოფელი მიყვარს საკმელოდ, შვიდწლედის გამგედ დამნიშნეს, ტკბილია გამოსათქმელად. ათ ფუთ ღობიოთ ვიყიდე „სიმწიფის“ ატესტატია, ზეპირად ვიცი მე „ჭამის“ ზაკონები და სტატია. ცხვრის ღუმით მიჩანს სოფელი ვთალო და ვჭამო ახია, გულეზე გებატონება გულის სიღრმეში მარხია. შალვა მადრამე მოვიკვდესთ გლენკომს თვარ გაკრა კბილია, კოაპერატივში გაძრომა, რი, რა რიგად ტკბილია. ურჩ მასწავლებლებს დავცოცხავ, გურგზე ავადენ ბოლსაო; ვენაცვალელები ნუნუას ყანწებს, ქიქებს და ბოთლსაო. რა გაეგებათ „რქიანებს“, ქირიმე კულაკისაო, ქრთამს რა დაუშლის, ბიჭებო, უნდა გავტენო ქისაო. ჯგუფიდან - ჯგუფში გადავიყვან ვინაც მომიტანს დედლებსა, თუ ხოშმა მომცა, იცოდეთ ბეგრსაც დაუხელ გვერდებსა. ხან ყურას დამიძახებენ, ხან ვაიძვერა მელასო, — მაგრამ რა უშლის არ ვიცი გლენკაცის ფეხქვეშ თელვისო. გამწვორებული არეინ მყავს, — ნამხილოს ბნელი საქმენი, ვინ ოხერია, გაბედოს უორდანიას დროს რაც ვქენი. დღეს მაუზერი მკილია, გვიღ-ლულიანი — თასმითა,

გოგოებს დავენაცვლები გავაზე — ხელის დახმითა. დევდარიანო! — გახედე მონაყვებს მოაქვს ძღვენია, ზურჯინი კარვად ვასინჯე, თავი ზვარ შეურცხვენია. ინდაურს, ბატს და ქათამსა გავკრათ - გამოვკრათ კბილია, და შემდეგ ჯგუფში გადავსვათ. ვინც არის ვალომხილია. დევდარიანი გლენკომში ვადი-განიოდ ქაფია; არც კი შეგიტყონ. ძამია, თავს არ დამასხა ლაფია. კოოპერატივის მოგება, იცოდე ორთავ ჩვენია, სანა? სოფელი „ყრუ არის“ საჭმელად ჩვენ დავგრჩენია. ვახანში მიშა გავვზავნე, მალე დავნიშნავ გამგეთა. მაუზერს პირში ჩაუდებ თუ ვინმემ რამე გაბედა... ენკენისთვიდან მედეას უსრულებ რაც რომ ეწადა, მე შეიდე ჯგუფში დავნიშნავ „ფრანგულის“ მასწავლებლად. ასწიე დევდარიანო ეს სადღეგვრძელო ჩემია, კურტუმოს პირში რომ ივლებ, ჯერ ღვინოც არ ვიგემია. ტოროლას თოფი ვესროლე, კურდღელმა სული დავლია, — წადი დაზვერე სოველში, სადაც ლამაზი ქალია. გაკვეთილის რიცხვს ვაგზირდი, გინდა ასწაულე, გინდ არა; ისევ ქეიფის ხოში მაქვს უნდა დაუქრა გიტარა. შალიკელა ყურა,

აედექი დილის ოთხ საათზე და წავედი სად. შორაპანში? შევალე სადგურის კარები. მაგრამ უკანვე გამოვარდი, ვილაც კაცი ყვიროდა ისე, რომ კინალამ ყურის ბარაბანი გამიძაკა. თურმე ვარლაპი იყო.

გავსწიე კლუბისაკენ. შევედი ბილიარდის ოთახში და ვნახე — კოლია ჩრტიშვილს ბილიარდზე ეძინა. (თურმე ამხანაგი ვერ ეშოვნა და მოლოდინში ჩასძინებოდა).

ამ დროს შემოვიდა ვილაც შავ ულვაშიანი ახალგაზრდა. მის შემოსვლაზე სამსონამ, რომელიც ბილიარდის ხელმძღვანელის თანაშემწეს თანაშემწეთ დაეტოვებინა, დაუწყო ღვიძება კოლიას: — ბიჭო, კოლა, ვალერია მოვიდა, ადე და ითამაშე!

კოლაც თვალდახუჭული წამოვარდა და ბუტბუტებდა: — დუბლეტ უგოლ, დუბლეტ სერედინე.

ბოლოს გამოფხიზლდა და დაიწყო თამაში.

აქედან წავედი თემის სამკითხველოში, სადაც წარსულ კვირის გაზეთები ეყარა. შეკითხვანე, გვიასუხეს: „გაზეთს პოლიტგანი გვიწერს. ჯერ ჩავა ზესტფაონში; ზესტფაონი გადმოსცემს შორაპნის ფოსტას და აქედან კი ჩვენ მივიღებთ დღეს წორებზე. სულ ერთია ის ამბები იქვე დავგვხვდება“.

წამოვედი სახლისკენ. გზაზე შემხვდა ნიკ. ვაჩიჩილაძე, რომელსაც დიდი პორტფელი ეკიდა ზურგზე და მკლავგაყრილი ვილაც კაცი მოყავდა. ვიფიქრე რა სამსახური მიიღო საპორტფელით-ქო, — მაგრამ, თურმე პორტფელი მიწის მზომელის იყო, რომელიც მას მოყავდა (მისი მიწები აუზომიძ, მერე კი ჩაუქინჭილებიათ).

მივედი სახლში.

ნახეგარი საათის შემდეგ ისევ გამოვბრუნდი. ჩავიარე სასულე ორკესტრის ბინასთან და შეგჩერდი. ლაპარაკს მოვკარი ყურა: „კაცო, რატომ აღარაეინ კვდება! იქნებ წავიყვანდნენ, ფულსაც ავიღებდით და კიდევ ჩავაჭინჭილებდით.“ — ბაასობდენ მემუსიკენი.

წარმოდგენა იწყებოდა.

ვიყიდე ათშაურიანი ბილეთი და დევქეი წინ, მაგრამ როდესაც დაიწყო, უკან გამოვიქეცი, რადგან მოკარანახის სიტყვები მაგრად მხედებოდა ყურში. კარებთანაც მკაფიოდ მესმოდა. წახდა გული და მეორე ზალაში გავედი.

აქ ნარდის თამაში იყო გაცხარებელი, ნარდის გვერდით ეწყო ჩვიდმეტე კოლოფი „საბჭოთა პაპიროსი“. თურმე ნარდის მოთამაშეებს მოუყრიათ თავი და თამაშობენ პაპიროსზე. ეს კი აღარ მომიწონა — მოუშათა კლობში თუ ასეთი რომ იქნებოდა, — და წამოვედი სახლში დასაძინებლად.

სიშაქ სანი.

ცნობათა მიღება

აქ ძველ მარქსისტს. მართალი ხართ, ვეთანხმებით თქვენს „აღსარებაში“ გამოთქმულს ჭეშმარიტებას. „პარტიას ბევრმა უღირსმა შეაფარა თავი და წმენდამდე მას არჩენილად გრძნობდა“-ო, მაგრამ, ვანა, ეს საკმაოა იმისათვის, რომ იუმორისტულ ლექსის ღირსება ასწიოს? კონკრეტულად რომ რამეს ამბობდეს, კიდევ პო: მოვისარგებლებდით მაინც.

ს. ამაღლება, გურია. ა. ყაჭვიშვილს. კაცმა რომ თავისი სახელი, თუნდაც იაშა, იად შეამოკლოს, ეს რა სახუმარო ან თუნდაც უბრალო დასაცინი ამბავია, თუ აქ სადმე ძაღლის თავი არ იყვეს დამარხული?!

იქნება თქვენ შემომწყურეთ: „ეს სხვის (პირადათ თქვენს) გულში ხელის ფათურიაო“. წარმოიდგინეთ, ძაღლის თავი ისეთი რამეა, რომ ადამიანს ზოგ ეთიკას მართლაც დაგავიწყებს და ზოგ საზღვარსაც გადაგალანგინებს.

ქ. ხონში. უშრდულის კვალს. ყველაფერი გაგვიგონია, მაგრამ ადამიანის ორი მამის სახელი კი არა. ერთად ერთი უნდა იყვეთ თქვენ, როგორც ამას იწერებით თქვენს მისამართში. დაგვიჯეროთ, რომ მართლაც ორი მამის შვილი ხართ? მე რე და აქნამდის, როგორ არ აიშალ დაიშალენ შენისთანა კარგი შვილისათვის და როგორ დაუთმო ერთმა მეორეს შენი თავი? ალბათ, ჩვენი შეწყუხება თუ უნდოდათ. არა, შე კაი კაცო, ნინა რომ ბაღში დასერიობდეს, თუნდაც იქ საქმროს იძენდეს და შინაც მიჰყავდეს, ამით ქვეყნიერებას რა დააკლდება ან რა შეეძინება?

კერძო მოვაჭრებებს თუ ტარანი უწყევია, რომელიც ყარს, მართალია თქვენი გულისწყრომა სანიტკომისისი მიმართ.

ვაჭრებს ჭიკოშეებს
არ აკლდება ფართალი.
ტარტაროზო, მოგწერე
ყოველივე მართალი-ო, გვეწერთ ბოლოს.

არა, ერთი რამე დაგაკლდათ: საიდან იძენენ ის კერძო ვაჭრები ფართალს, რათ არა გვეწერთ მართალს?!

ცაგერი. ღატიო. ლეჩხუმელს. ამას დიდი გაკიანურებული „მესტირულებიც“ არ უნდოდა, მოგვეწერათ მოკლეთ:

ჩავისერნოთ ფოსტაში,
გამგეა კობალიანი.
ფოსტაში ბევრი უწყევია
„მასილკა“ ერთი თვიანი,
მოხელე ბევრი გვინახავს,
არსად ასეთი გვიანი!
ეს გაფრთხილება ცეცხლა,
რომ აიცილინოს ზიანი!”

ჩვენის ფიქრით, ეს სრულიად საკმარისია საქმის ვითარებისათვის. დანარჩენი ეძიეთ სარედაქციო გოდლოში.

ს. ოზჩა. „წიტილ ნემსს“. ნემსი საკერავი იარაღია და არა იმისი მოხელე, რომ ჩვენ ჭკუა გვასწავლოს. ან მოგვატყუოს. თუ ჭუმბურიძე ლოთია და მანდ ვირვეთ სუყველაფერს, რა აზრით გვიჩვენებთ, რომ ის ჩვენ ტფილისში გამოვიწერეთ!!! ნუ თუ ერთი „აბანო“ მისთვის იქვე არ მოიძებნება, სადმე თქვენს დასამხარზე?!

ქ. ხონი. მუშას. თქვენის ცნობით, თუთის სანერგის გამგე. ა. რუხაძე კულაკის შვილს ამუშავებს, ხოლო ღარიბს კი სამუშაოდან ერეკება; წითელ სასაბილოში რა-უნდენი გალსტუკიანებს აქცევს ყურადღებას, ხოლო მუშას არა; ძაფ-საღები ქარხნის გამგე მუშებს უღიერად ეპყრობა, ხოლო, დამქაშის წყალობით, ეს მას რჩება ტყე-მალევით. ვერ არის კარგი საქმეები. ბიუროკრატები. კი არ ყოფილან ესენი, არამე დამამალი მავნებლები. ხოლო ამ საქმეს კიუ ფრო ავნებდა, რომ თქვენს ლექსიც მოგვეთავსებინა.

ქ. ქუთაისში. თ. მომავლის შვილს. როგა, ბოშო, თქვენი „ჩემის მიშას“ კერძო ბარათია თუ იუმორისტული ნაწარმოები? მართალია, არც ერთად ვარგა და არც მეორედ, მაგრამ ჩვენ, მესამე პირი, რაღა შუაში ვიყავით. მამჩში. რომ ხეოს აწერდით და ამის შემდეგაც რომ თავებს ირთობდით, მაშინ არაფერი შეგრკითხავთ ჩვენთვის და ახლა, აღარ ვიცით, თუ რისთვის და გვაწუხებთ.

საჩხარე. გუბო მასაშვილს. ეს თქვენი „ჩისტკა“ მართლაც რომ „მასაშვილის“ მიერ უნდა იყვეს დაწერილი, რადგან ნამეტანი ზოგადათ არის დაწერილი, ანუ ეს თქვეთ მასიურად, რაიცა მასიურადვე არის უკვე ცნობილი. ჩვენ გვეინტერესება უფრო კონკრეტული მომენტები ადგილობრიდან ჩისტკის ამა თუ იმ შემთხვევის შესახებ.

ს. გომი. ქუთ. მაზრა, „მერუსტველს“. თქვენს ფსევდონიმი უნდა იყვეს აღებული „ვეფხვის ტყაოსნიდან“.

„მე რუსთველი ხელობითა
ვიქმ საქმესა ამაღარი და სხ.“
და აი, იწყებთ ს. გომის შესახებ ასე:
ლექსი მინდა მე დაწვერო
ტარტაროზში გასაგზავნად
რომ ამ ლექსის წაკითხვის დროს
ყველამ გაიგოს სწორათ“-ო.

სწორედ ვინ ვერ გაიგებს თქვენს ფსევდონიმს?!

სადაც არ უნდა იყვეს, სპირიტუალს. წავიკითხეთ თქვენი „ბოდვა“, რომელიც ასე იწყება:

„ცხელა, ცხელა, ცხელა,
მიდულს ტვინი“-ო.

რა გვეთქმის? მოხდება ხოლმე ხშირად.


მიუხვდა



პო. შამგე: — გამარჯობა ივანე-რამდენი ხანია არ მინახვხარ- როგორ ხარ, -კაცო?
ივანე (თავისთვის):— ეტყობა წმენდაში მომყოფლია, თორემ რა შვილი მომცემდა სალამს?!

(ეპიფანე).

შ.შს დიდი თვალები აქვს



— მეც ვიბანავევდი, მაგრამ ვაი თუ ისინი მსუბუქი კვადლერისტებია!